მარიამ კაკაურიძე

ინგლისურენოვანი ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

კავკასიის ბიზნესის სკოლა

ლილის კათოლიკური უნივერსიტეტი, საფრანგეთი

საფრანგეთში სწავლა ჩემთვის ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ და დასამახსოვრებელ გამოცდილებად იქცა, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ჩემს განვითარებაზე. საერთაშორისო გარემოში ცხოვრება ნიშნავს ყოველდღიურ სიახლეებს, მრავალფეროვან გამოცდილებას და უწყვეტ წინსვლას - ეს არის გზა, სადაც ნაბიჯ-ნაბიჯ აღმოაჩენ საკუთარ შესაძლებლობებს და ყალიბდები როგორც პიროვნება და მომავალი პროფესიონალი.

ლილში გატარებული სტუდენტური ცხოვრება განსაკუთრებული იყო. სწავლა ლილის კათოლიკურ უნივერსიტეტში, IESEG-ის მენეჯმენტის სკოლაში, მაძლევდა შესაძლებლობას ვყოფილიყავი დინამიკურ და მრავალფეროვან გარემოში. განსაკუთრებით მომეწონა სწავლის მაღალი ხარისხი და ლექტორები, რომლებიც არა მხოლოდ თეორიულ ცოდნას გვიზიარებდნენ, არამედ საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებასაც, რაც სწავლას ბევრად უფრო საინტერესოს და ღირებულს ხდიდა. ქალაქ ლილმა კი თავისი უნიკალური ატმოსფეროთი ეს გამოცდილება კიდევ უფრო დასამახსოვრებელი გახადა.

სტუდენტური ცხოვრება საფრანგეთში , ეს იყო ახალი კულტურის გაცნობა, ყოველდღიური პატარა თავგადასავლები და ადამიანებთან ურთიერთობა, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან იყვნენ ჩამოსულები. სწორედ ამ გარემომ მასწავლა დამოუკიდებლობა და საკუთარი თავის რწმენა.

რა თქმა უნდა, ეს გზა გამოწვევების გარეშე არ ყოფილა - ახალ სისტემასთან შეგუება, კომფორტის ზონიდან გამოსვლა და ოჯახისგან შორს ყოფნა ზოგჯერ საკმაოდ რთული იყო. თუმცა, სწორედ ეს სირთულეები დამეხმარა, უფრო თავდაჯერებული გავმხდარიყავი.

დღეს, როდესაც ამ გამოცდილებას ვიხსენებ, ვხვდები, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება ჩემს ცხოვრებაში. ამიტომ ყველას, ვისაც მსგავსი შესაძლებლობა აქვს, გულით ვურჩევ - გაბედეთ, რადგან ყველაზე დიდი ცვლილებები სწორედ მაშინ იწყება, როცა ახალი შესაძლებლობებისკენ ნაბიჯს გადადგამ!